

შპს "ფორსაით ბროკერს"

ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ფორსაით ბროკერს"
 ფინანსური ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
<i>ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</i>	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3 ახალი და შესწორებული სტანდარტები	13
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	14
5 ფული და ფულის ეკვივალენტები	15
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
7 მოკელვადიანი ინვესტიციები	15
8 არამატერიალური აქტივები	15
9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
10 საგადასახადო ვალდებულებები	16
11 საწესდებო კაპიტალი	16
12 საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	16
13 სხვა შემოსავალი	17
14 ფინანსური მოგება/(ზარალი) ნეტო	17
15 ფინანსური რისკი	17
16 პირობითი ვალდებულებები	19
17 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
18 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	20

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

"ფორსაით ბროკერს" მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "ფორსაით ბროკერსის" (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისაგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტის მოსაზრებისთვის.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმვლი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიხილ აზიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-865011

30 მარტი, 2026

თბილისი, საქართველო

შპს "ფორსაით ბროკერს"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-25	31-დეკ-24
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	555,641	29,280
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	206,108	-
მისაღები პროცენტი		827	4,233
მოკლევადიანი ინვესტიციები	7	-	566,000
სულ მიმდინარე აქტივები		762,576	599,512
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
არამატერიალური აქტივები	8	10,944	10,211
ძირითადი საშუალებები		5,891	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,835	10,211
სულ აქტივები		779,411	609,723
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	112,995	-
საგადასახადო ვალდებულებები	10	22,958	-
გადასახდელი პროცენტები		1,682	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		137,635	-
სულ ვალდებულებები		137,635	-
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	600,000	600,000
გაუნაწილებელი მოგება		41,776	9,723
სულ კაპიტალი		641,776	609,723
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		779,411	609,723

ნონა კრიხელი
 დირექტორი
 შპს "ფორსაით ბროკერს"
 30 მარტი 2026

თბილისი, საქართველო

შპს "ფორსაით ბროკერს"
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	5	32,024	29,621
საკომისიო შემოსავალი	6	28,519	-
საერთო მოგება		60,543	29,621
საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	12	(449,969)	(20,254)
სხვა შემოსავალი	13	294,118	-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(95,308)	9,367
ფინანსური მოგება/(ზარალი) ნეტო	14	127,452	356
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		4,599	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(4,691)	-
მოგება დაბეგვრამდე		32,052	9,723
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		32,052	9,723

ნონა კრიხელი
 დირექტორი

შპს "ფორსაით ბროკერს"

30 მარტი 2026

თბილისი, საქართველო

შპს "ფორსაით ბროკერს"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2025	2024
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული საკომისიო	6	22,541	-
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(154,688)	(18,308)
გაცემული შრომის ანაზღაურება		(113,386)	(1,000)
გადახდილი გადასახადები		(33,165)	(1,456)
დამფუძნებლისთვის დაბრუნებული თანხა		-	(697)
მიღებული სხვა შემოსავალი	13	94,000	-
გადახდილი სხვა ხარჯი		(13,555)	-
ფულადი სახსრების შემოსვლა / (გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან		(198,253)	(21,461)
დამფუძნებლების მიერ კაპიტალის შევსება		-	600,000
ფულადი სახსრების შემოსვლა / (გასვლა) საფინანსო საქმიანობიდან		-	600,000
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	8	(800)	(9,005)
ძირითადი საშუალების შესყიდვა		(6,829)	-
მოკლევადიანი ინვესტიციების წმინდა (განთავსება) / გამოსყიდვა	7	566,000	(566,000)
მიღებული პროცენტი	5	35,429	25,389
ინვესტორებისგან მიღებული თანხები		-	555
ფულადი სახსრების შემოსვლა / (გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან		593,800	(549,062)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		395,547	29,478
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებზე		130,814	(198)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5	29,280	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5	555,641	29,280

ნონა კრიხელი
 დირექტორი

"ფორსაითის ბროკერს"

30 მარტი 2026

თბილისი, საქართველო

შპს "ფორსაით ბროკერს"
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი	11	-	-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		600,000	9,723	609,723
2024 წლის 31 დეკემბერი	11	600,000	9,723	609,723
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		-	32,052	32,052
2025 წლის 31 დეკემბერი	11	600,000	41,776	641,776

ნონა კრიხელი
დირექტორი

"ფორსაითის ბროკერს"

30 მარტი 2026

თბილისი, საქართველო

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "ფორსაით ბროკერსი" (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2023 წლის 24 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი წმინდა ქეთევან დედოფალი, N18-20-22; ქუჩა ნიკოლოზ იზაშვილი, N3, სართული 1. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404700819. 2024 წლის 30 ოქტომბერს კომპანიამ საქართველოს ეროვნული ბანკისაგან მოიპოვა სრული საბროკერო საქმიანობის ლიცენზია.

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება და ახორციელებს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი - ნანა კრიხელი.

კომპანია შედის ფორსაით ჯგუფში და მომხმარებლებს სთავაზობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას, საინვესტიციო კონსულტაციებსა და სხვა საბროკერო მომსახურებებს. ფორსაით ბროკერსის მიზანია საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარება და ინვესტორებისთვის სანდო ფინანსური სერვისების მიწოდება.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება ლიკვიდურობას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

პირვანდელი ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები. მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ქვემოთ აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონირებადი და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

2.3 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება - კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება - ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.3 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9 -ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.3 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

2.5 საშემოსავლო და მოგების გადასახადი

საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ამოქმედებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) შეუძლიათ არ გადაიხადონ საშემოსავლო გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე მანამ, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით. საშემოსავლო გადასახადი 15%-ის ოდენობით გადასახდელია მთლიანი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გამოითვლება 5% გადასახადის დაკავებით და იყოფა 0,85-ზე) ფიზიკურ ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემისას. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს მთლიანი ღირებულებით, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება, როგორც დეკლარირებული და გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის წილი დაბეგვრის მოგებაზე მთლიან წმინდა მოგებასთან შედარებით. იგივე პერიოდი გამრავლებულია გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილების ფაქტობრივ საშემოსავლო გადასახადს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 საშემოსავლო და მოგების გადასახადი (გაგრძელება)

საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღირიცხება, როგორც საშემოსავლო გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადებულია დივიდენდები, გადახდის თარიღის ან პერიოდის მიუხედავად, როდესაც გაიცემა დივიდენდები. კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივის და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასახა შესაბამისი გავლენა მოგება-ზარალში 2016 წელს. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადასახდელზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ სუბიექტებთან სხვა გარკვეული ტრანზაქცია, აგრეთვე ფიზიკური ან არარეზიდენტებისთვის გაცემული სესხები დაუყოვნებლივ იბეგრება. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გარდა აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათების, მიღებულ იურისდიქციებში რეგისტრირებულ სუბიექტებზე გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, რომლებსაც აქვთ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ან ანაზღაურება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხებისა, აღირიცხება სხვა გადასახადებში, გარდა შემოსავალზე, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. დამატებული ღირებულების გადასახადი. რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისათვის, მაშინ, როდესაც ქვემოთ მოცემული ორი ოპერაციიდან პირველი განხორციელდება ა) მომხმარებლებისაგან თანხის მიღება ან ბ) მომხმარებლებისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება. ჩასათვლელი დამატებული ღირებულების გადასახადი და გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადის ურთიერთჩათვლა ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის ინვოისის მიღების შემდგომ. საგადასახადო ორგანოები ნებას იძლევიან დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა განხორციელდეს ნეტო ოდენობით. ძირითადი საშუალებების შექმნასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ გადავადდება 5-დან 10 წლამდე იმ სუბიექტებისთვის, რომელთა ბრუნვის 20%-ზე მეტი გათავისუფლებულია დღგ-სგან გამოქვითვის უფლების გარეშე. სადაც ანარცხები გაკეთდა დებიტორულ დავალიანებაზე, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი ღირებულებით, დღგ-ს ჩათვლით.

2.6 ხარჯის აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.7 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

• მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.7 დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი ფონდი და არც ერთობლივი საწარმო;
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიას ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს;
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

2.8 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3 ახალი და შესწორებული სტანდარტები

3.1 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფას 9-ისა და ფას 7-ის შესწორებები _ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შესწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

მართალია, კომპანიას ჯერ არ დაუსრულებია ზემოაღნიშნული ცვლილებების ზემოქმედების შედეგების შეფასება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას არ იქონიებს ჯგუფზე

ამ ცვლილებების გამოყენება სავალდებულო იქნება 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

3 ახალი და შესწორებული სტანდარტები (გაგრძელება)

3.1 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. მართალია, ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, მაგრამ ახალი სტანდარტი მაინც გავლენას მოახდენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და დეზაგრეგირების დონეზე.

ფასს 18 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტიულად. კომპანია ამჟამად აფასებს, რა გავლენას იქონიებს კომპანიაზე ფასს 18-ის ამოქმედება.

დღეისათვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

გაუფასურების ხარჯი - კომპანია მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის, რომ კომპანია სავარაუდოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს. კომპანია საექვო ვალების რეზერვს ქმნის შენიშვნა 2.3-ს შესაბამისად.

მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალი - აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას. მაშინ, როდესაც, ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა გაუფასურების რეზერვის მიმართ. კომპანია ჩამოწერს მოთხოვნის დარჩენილ ნაწილს და გაუფასურების შესაბამის რეზერვს, როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია მოთხოვნის ამოღება და როდესაც შესრულდება მოთხოვნის ამოსაღებად გამიზნული ყველა მოქმედება.

შპს "ფორსაით ბროკერს"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-25	31-დეკ-24
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში (GEL)	519,235	11,150
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში (USD)	14,905	18,130
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში (EUR)	2,319	-
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში (RUR)	19,182	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	555,641	29,280

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების მიერ მოხარებული აქტივები და ვალდებულებები შეადგენს 419,141 ლარს. აღნიშნულ მოხარებულ აქტივებზე კომპანიას არ აქვს კონტროლი და, შესაბამისად, არ არის აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,018,868 ლარი)

მისაღები პროცენტი 31-დეკ-24	4,233
დარიცხული პროცენტი	32,024
მიღებული პროცენტი	(35,429)
მისაღები პროცენტი 31-დეკ-25	827

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეადგენს 206,108 ლარს, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სსიპ „აწარმოე საქართველოში“-სგან მისაღებ თანხას 200,000 ლარს, მოზიდული ინვესტიციიდან მისაღებ საკომისიოს თანხას 5,978 ლარს და სხვა მოთხოვნებს 130 ლარს. (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 0 ლარი)

2025 წელს მოზიდული საკომისიოდან დარიცხულმა შემოსავალმა შეადგინა 28,519 ლარი, საიდანაც კომპანიას მიღებული აქვს 22,541 ლარი, სხვაობა კი შეადგენს მისაღებ საკომისიოს.

7 მოკლევადიანი ინვესტიციები

	31-დეკ-25	31-დეკ-24
საწყისი ნაშთი	566,000	-
ერთეულის შესყიდვა	221,200	594,000
ერთეულის გამოსყიდვა	(787,200)	(28,000)
სულ მოკლევადიანი ინვესტიციები	-	566,000

8 არამატერიალური აქტივები

31 დეკემბერი 2023	-
დამატება	10,211
31 დეკემბერი 2024	10,211
დამატება	800
31 დეკემბერი 2025	11,011
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2023	-
31 დეკემბერი 2024	-
ამორტიზაციის ხარჯი	(67)
31 დეკემბერი 2025	(67)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2024	10,211
ნარჩენი ღირებულება 31.12.2025	10,944

შპს "ფორსაით ბროკერს"
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

8 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს 10,211 ლარის ოდენობით. კომპანიამ 2024 წელს საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიიღო საბროკერო საქმიანობის ლიცენზია, რომლის ღირებულებაც შეადგენს 5,000 ლარს, ხოლო მოცემული ლიცენზიის მოპოვებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯები შეადგენს 5,211 ლარს.

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2025	31-დეკ-2024
გადასახდელი საშუამავლო მომსახურების თანხა	92,235	-
გადასახდელი ხელფასი	11,760	-
სავაჭრო ვალდებულებები	3,694	-
სხვა ვალდებულებები	5,306	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	112,995	-

10 საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიერ საქართველოს შემოსავლების სამსახურის წინაშე არსებულ გადასახდელ გადასახადებს, რომლებიც უნდა დაფაროს მომავალ საანგარიშო პერიოდში. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულების ნაშთი შეადგენს 22,958 ლარს ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას საგადასახადო ვალდებულება არ გააჩნდა.

11 საწესდებო კაპიტალი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №145/04, მიხედვით, საბროკერო კომპანიის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 500,000 ლარს.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლების მიერ და ფორმირებულია ფაქტობრივი შენატანებით და 2025 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრულია 600,000 ლარის ოდენობით.

12 საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	2025	2024
მომსახურების ხარჯი	225,868	-
შრომის ანაზღაურება	162,486	1,250
პროგრამული უზრუნველყოფა	42,000	15,468
საწევრო გადასახადის ხარჯი	9,623	-
საბანკო ხარჯი	8,058	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,005	-
აპლიკაციის ტესტირების ხარჯი	-	2,400
სხვა ხარჯი	929	1,136
სულ საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	449,969	20,254

შპს "ფორსაით ბროკერს"
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

13 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს საშუამავლო მომსახურებიდან მიღებულ თანხებს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რიკო ექსპრესის ობლიგაციის ემისიისათვის.

14 ფინანსური მოგება/(ზარალი) ნეტო

	2025	2024
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	590,396	635
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(462,944)	(279)
სულ ფინანსური მოგება/(ზარალი) ნეტო	127,452	356

15 ფინანსური რისკი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი - ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

სავალუტო რისკი - უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

ფინანსური აქტივები 31-დეკ-25	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	519,235	14,905	2,319	19,182	555,641
სულ ფინანსური აქტივები	519,235	14,905	2,319	19,182	555,641
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	112,995	-	-	-	112,995
სულ ფინანსური ვალდებულებები	112,995	-	-	-	112,995
წმინდა სავალუტო პოზიცია	406,240	14,905	2,319	19,182	442,646

ფინანსური აქტივები 31-დეკ-24	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	11,150	18,130	29,280
მოკლევადიანი ინვესტიციები	566,000	-	566,000
სულ ფინანსური აქტივები	577,150	18,130	595,280
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
წმინდა სავალუტო პოზიცია	577,150	18,130	595,280

შპს "ფორსაით ბროკერს"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

15 ფინანსური რისკი (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კურსში ცვლილების ზეგავლენის ანალიზი

31 დეკემბერი, 2025	გავლენა		
	მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი	
გაცვლითი კურსის ცვლილებები			
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	-10%	(1,491)	(1,267)
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	-5%	(745)	(633)
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	5%	745	633
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	10%	1,491	1,267

31 დეკემბერი, 2025	გავლენა		
	მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი	
გაცვლითი კურსის ცვლილებები			
ლარი გაუფასურდა ევროს მიმართ	-10%	(232)	(197)
ლარი გაუფასურდა ევროს მიმართ	-5%	(116)	(99)
ლარი გამყარდა ევროს მიმართ	5%	116	99
ლარი გამყარდა ევროს მიმართ	10%	232	197

31 დეკემბერი, 2024	გავლენა		
	მოგება დაბეგვრამდე	კაპიტალი	
გაცვლითი კურსის ცვლილებები			
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	-10%	(1,813)	(1,541)
ლარი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ	-5%	(906)	(771)
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	5%	906	771
ლარი გამყარდა აშშ დოლარის მიმართ	10%	1,813	1,541

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, კომპანიაზე დიდ გავლენას არ ახდენს აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებები. ასევე გვიჩვენებს იმ შესაძლო ეფექტს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე, რომელსაც გამოიწვევს აშშ დოლარი/ლარის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებები.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და ფულის ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სხვა ვალდებულება.

ფინანსური აქტივები 31-დეკ-25	1 წლამდე	1-5 წელი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	555,641	-	555,641
სულ ფინანსური აქტივები	555,641	-	555,641
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წელი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	112,995	-	112,995
სულ ფინანსური ვალდებულებები	112,995	-	112,995
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	442,646	-	442,646

შპს "ფორსაით ბროკერს"
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

15 ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები 31-დეკ-24	1 წლამდე	1-5 წელი	სულ
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	29,280	-	29,280
მოკლევადიანი ინვესტიციები	566,000	-	566,000
სულ ფინანსური აქტივები	595,280	-	595,280
ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-5 წელი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	595,280	-	595,280

ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები.

16 პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიის დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია 3 წელი.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და და ანგარიშგების დამოწმების თარიღისათვის კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით არის ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

17 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

31-დეკ-2025	მისაღები პროცენტი		
უმალლესი ხელმძღვანელობა			827
2025	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი	საპროცენტო შემოსავალი
უმალლესი ხელმძღვანელობა	3,153	8,000	28,519
31-დეკ-2024	მოკლევადიანი ინვესტიცია	მისაღები პროცენტი	
სხვა დაკავშირებული მხარეები	566,000		4,233
2024	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	საპროცენტო შემოსავალი	
უმალლესი ხელმძღვანელობა	741		-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-		29,621

18 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

- დოკუმენტის დასასრული -